


**შპს „ვარკეთილარი“
(ს/ნ 206149522)**

**ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ანგარიში კომპილაციის შესახებ	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6 - 11

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“).



ანგარიში კომპილაციის შესახებ

შპს „ვარკეთილაირის“ ხელმძღვანელობას:

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ვარკეთილაირის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის - დასს 4410 (გადასინჯული), კომპილაციური გარიგებები - შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები. ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

28 მაისი 2024

შპს „ნიკას ფინანსური სერვისი“

შპს „ვარკეთილარი“
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გ/შ	2023	2022
შემოსავალი გაზის მიწოდებიდან	4	9,654,610	10,212,370
სხვა საოპერაციო შემოსავალი		203,302	407,680
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(8,487,529)	(6,567,939)
საერთო მოგება		1,370,383	4,052,111
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,880,106)	(1,576,968)
ფინანსური შემოსავალი, ნეტო		15,230	13,720
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე		(494,493)	2,488,863
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური (ზარალი) / მოგება		(494,493)	2,488,863

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2024 წლის 28 მაისს.

არჩილ გომურაშვილი
გენერალური დირექტორი



გივი ლენოჩავა
ფინანსური დირექტორი

შპს „ვარკეთილაირი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გ/შ	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,577,324	2,547,574
არამატერიალური აქტივები		8,874	10,440
		<u>2,586,198</u>	<u>2,558,014</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		214,224	250,569
სესხები დაკავშირებულ მხარეებს		191,498	274,243
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,923,633	2,168,812
ფული და ფულის ეკვივალენტები		213,991	770,479
		<u>2,543,346</u>	<u>3,464,103</u>
სულ აქტივები		<u>5,129,544</u>	<u>6,022,117</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		2,940,717	4,533,681
		<u>2,942,717</u>	<u>4,535,681</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ბანკის სესხი		316,781	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1,870,046	1,486,436
		<u>2,186,827</u>	<u>1,486,436</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>5,129,544</u>	<u>6,022,117</u>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2024 წლის 28 მაისს.

არჩილ გომურაშვილი
გენერალური დირექტორი

გოგი ღვინჯავა
ფინანსური დირექტორი




შპს „ვარკეთილარი“
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000	2,495,914	2,497,914
წლიური მოგება	-	2,488,863	2,488,863
გადახდილი დივიდენდები	-	(447,500)	(447,500)
წინა პერიოდების კორექტირება	-	(3,596)	(3,596)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	4,533,681	4,535,681
წლიური ზარალი	-	(494,493)	(494,493)
გადახდილი დივიდენდები	-	(1,088,479)	(1,088,479)
წინა პერიოდების კორექტირება	-	(9,992)	(9,992)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	2,940,717	2,942,717

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2024 წლის 28 მაისს.


არჩილ გომურაშვილი
გენერალური დირექტორი


გივი ლომონჯავა
ფინანსური დირექტორი



შპს „ვარკეთილაირი“


ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(494,493)	2,488,863
კორექტირებები:		
- ცვეთა და ამორტიზაცია	195,098	181,712
- გაუფასურების ზარალი	21,219	(183,927)
- საპროცენტო ხარჯი, ნეტო	(15,230)	(13,720)
- წინა პერიოდების კორექტირება	(9,992)	(3,596)
მოთხოვნების (ზრდა) / შემცირება	223,960	(306,827)
მარაგების ზრდა	36,345	33,637
ვალდებულებების (შემცირება) / ზრდა	383,610	(130,756)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	340,517	2,065,386
გადახდილი პროცენტი	2,975	(3,880)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ნეტო ფულადი სახსრები	343,492	2,061,506
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(223,282)	(269,070)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(7,512)
სესხები დაკავშირებულ მხარეებს	95,000	(60,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(128,282)	(336,582)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება / (დაფარვა)	316,781	(645,389)
დივიდენდების გადახდა	(1,088,479)	(447,500)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(771,698)	(1,092,889)
წმინდა (კლება) / ზრდა წლის განმავლობაში	(556,488)	632,035
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	770,479	138,444
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	213,991	770,479

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2024 წლის 28 მაისს.


არჩილ გომურაშვილი
გენერალური დირექტორი




გივი ლემონჯავა
ფინანსური დირექტორი

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ვარკეთილარი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ვარკეთილში, თბილისი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი აირის დისტრიბუცია: კომპანია ვარკეთილ 3-ს, ვარკეთილ 2-ს, პატარა ლილოს და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიას აწვდის გაზს, რომელსაც იძენს „სოკარისგან“.

კომპანიის საკუთრებაში არსებული გაზის მილსადენების მთლიანი სიგრძეა 55 კმ. კომპანიის აბონენტების რაოდენობა აღემატება 17,500-ს.

კომპანიის მფლობელები არიან:

სს „საინვესტიციო კომპანია ვანო და კომპანია“	30.00%
ნუგზარ მღვდელაძე	20.00%
ივანე ცნობილაძე	15.36%
თეიმურაზ ნიკოლეიშვილი	8.54%
სხვა მფლობელები	26.10%
	<u>100.00%</u>

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“) და მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

2.1. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად, დღგ).

გაზის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება გაზის მრიცხველების ჩვენების საფუძველზე, რომელიც უჩვენებს კომპანიის აბონენტების მიერ გაზის მოხმარებას საანგარიშგებო პერიოდში.

მომსახურების გაწევიდან (გაზმომარაგების აღჭურვილობის დამონტაჟება) მიღებული შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის თარიღში.

განმარტებითი შენიშვნები

2.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, წრფივად:

- გაზის სადისტრიბუციო ქსელი 2-10%
- სხვა 10%

2.3. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე.

2.4. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხდება ფინანსური აქტივების გადახედვა, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა ობიექტური სამხილი იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთი სამხილების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში. აქტივები, რომლებსაც ერიცხება სარგებელი (გაცემული სესხები), თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. ვალდებულებები, რომლებსაც ერიცხება სარგებელი (მიღებული სესხები), თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (საპროცენტო ხარჯი) აღიარდება მოგება-ზარალში.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

2.5. მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი აღირიცხება „ესტონური მოდელით“, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი აღირიცხულია გადახდილ დივიდენდებთან ერთად.

2.6. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა არსებითი ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

	ლ / USD	ლ / EUR
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.98
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წელს	2.63	2.84
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წელს	2.92	3.08
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	3.50

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ამ ანგარიშგების მომზადებისას არ არის გამოყენებული ისეთი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ ფინანსურ წელიწადში აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ნაშთების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკთან.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

4. შემოსავალი გაზის მიწოდებიდან

19,597,278 მ³ გაზის დისტრიბუცია გახორციელდა 2023 წელს (2022: 20,515,224 მ³), როცა გაზის დანაკარგი (სხვაობა შეძენილ და მიწოდებულ გაზს შორის წლის განმავლობაში) იყო 1.4% (2022: 0.75%).

გაზი მიეწოდება მოსახლეობას („სოციალური გაზი“) და კომერციულ საწარმოებს („კომერციული გაზი“). სოციალური გაზის ფასი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ („სემეკი“) საშუალებით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ მიწოდებული სოციალური გაზის ფასი შეადგენდა 0.48357 ლარს 1 მ³-ზე (2022: 0.48357 ლ/მ³) და კომერციული გაზის ფასი შეადგენდა 1.05932 ლარს 1 მ³-ზე (2022: 1.05932 ლ/მ³). ფასები მოცემულია დღგ-ს გარეშე.

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო და ადმინ. ხარჯები

	2023	2022
რეალიზებული გაზის თვითღირებულება	8,240,723	6,288,043
თანამშრომელთა ანაზღაურება	1,560,956	1,562,683
ცვეთა და ამორტიზაცია	195,098	181,712
იჯარა	92,502	30,508
გამოყენებული მარაგები	62,563	111,241
გაუფასურების ანარიცხი	21,219	(183,927)
სხვა ხარჯები	194,574	154,647
	10,367,635	8,144,907

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ შეძენილი სოციალური გაზის ფასი შეადგენდა 0.149 აშშ დოლარს 1 მ³-ზე (2022: 0.08986 \$/მ³) და კომერციული გაზის ფასი შეადგენდა 0.285 აშშ დოლარს 1 მ³-ზე (2022: 0.285 \$/მ³). ფასები მოცემულია დღგ-ს გარეშე. კომპანია გაზს იძენს შეძენისას არსებული კურსით ლარში.

თანამშრომელთა ანაზღაურება მოიცავდა საკვანძო ხელმძღვანელების ანაზღაურებას 296,588 ლარის ოდენობით 2023 წელს (2022: ლ 472,175).

იჯარის ხარჯი მოიცავდა ოფისის ფართის იჯარას 66,102 ლარის ოდენობით 2023 წელს (2022: ლ 30,508). საოფისე ფართის ფლობს საწარმო, რომელსაც აკონტროლებენ კომპანიის მფლობელები.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

6. ძირითადი საშუალებები

	გაზის სადისტრიბუციო ქსელი	სხვა ქონება და აღჭურვილობა	სულ
ღირებულება			
1 იანვარი 2022	3,553,387	124,396	3,677,783
შეძენა	249,081	15,688	264,769
31 დეკემბერი 2022	3,802,468	140,084	3,942,552
შეძენა	217,890	5,392	223,282
31 დეკემბერი 2023	4,020,358	145,476	4,165,834
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2022	1,159,211	58,877	1,218,088
პერიოდის ცვეთა	168,655	8,235	176,890
31 დეკემბერი 2022	1,327,866	67,112	1,394,978
პერიოდის ცვეთა	184,243	9,289	193,532
31 დეკემბერი 2023	1,512,109	76,401	1,588,510
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	2,474,602	72,972	2,547,574
31 დეკემბერი 2023	2,508,249	69,075	2,577,324

გაზის სადისტრიბუციო ქსელის ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ხოლო სხვა ქონების ცვეთის ხარჯი - საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2023 წლის ოქტომბერში, „არესემ (RSM) საქართველომ“ შეაფასა გაზის სადისტრიბუციო ქსელი 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS) შესაბამისად. შეფასების ანგარიშის მიხედვით, ქონების საბაზრო ღირებულებაა 10,107,900 ლარი.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები გაზის მიწოდებიდან	1,976,708	2,170,547
სხვა მოთხოვნები	135,091	129,189
გადახდილი ავანსები	11,286	47,309
გაუფასურების ანარიცხი	(199,452)	(178,233)
	1,923,633	2,168,812

თვის განმავლობაში გაზის მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების დაფარვა ხდება მომდევნო პერიოდებში. მოთხოვნა დეკემბერში მიწოდებული გაზიდან შეადგენდა 1,698,781 ლარს (2022: ლ 1,919,869).

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
გაზის მომწოდებლისადმი დავალიანება	1,558,957	1,199,376
გაზიფიცირების სამუშაოებისთვის მიღებული ავანსები	148,000	-
გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დავალიანება	60,089	83,015
სახელფასო დავალიანება	45,323	110,458
გადასახდელი გადასახადები, ნეტო	28,429	75,345
სხვა ვალდებულებები	29,248	18,242
	1,870,046	1,486,436

გაზის მომწოდებელი დამატებით ითხოვს პანდემიის პერიოდში საურავების სახით დარიცხულ 175,000 ლარს, რაც კომპანიას ვალდებულებად არ აქვს აღიარებული და მიმდინარეობს მოლაპარაკება.

9. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები და ნაშთები კომპანიის მფლობელებთან, მათ მიერ კონტროლირებად საწარმოსთან და საკვანძო ხელმძღვანელობასთან, წარმოდგენილია ზემოთ გ/შენიშვნებში. სხვა არსებით ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან არ ჰქონია ადგილი.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 28 მაისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს აღნიშვნას განმარტებით შენიშვნებში.



11